ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2014 წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №090

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში-შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის მოადგილის ნინო ბერულავას სახით, რომელიც მოქმედებს ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 სექტემბრის №1-214 ბრძანების საფუძველზე

მეორე მხრივ: სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში-მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, წარმოდგენილი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას გაუწიოს Hyundai Tucson LQL 220-ისთვის ძრავის მომსახურება – 264 ლარი, (ინვოისის შესაბამისად) - კლასიფიკატორის (**CPV**) კოდით - 50100000 სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2.2 მომსახურების გაწევა უნდა დასრულდეს 2014 წლის 29 სექტემბერს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 264 (ორას სამოცდაოთხი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი:

4.1.1 გაუწიოს და მიწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება და საქონელი.

4.1.2 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება და მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი:

4.2.1 ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული მომსახურების და საქონლის ღირებულება.

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

მომსახურება უდა საქონელი ნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების და საქონლის ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების და საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების და საქონლის ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

7. მომსახურების და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების და საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების და საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი და დღგ-ს საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 დღით ადრე.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 25 სექტემბრიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 ოქტომბრამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

16. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900; კოდი: 220101222
საიდენტიფიკაციო კოდი 205296188

ნინო ბერულავა

დირექტორის მოადგილე

<u>მიმწოდებელი:</u>

სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ
საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი" (მარჯანიშვილის ფილიალი)
ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის №GE15TB1100000110467697

ალექსანდრე ხვედელიძე

სერვისის დირექტორი